26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

ბორჯომი

25 მაისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№21-22 (9284)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

საქართველოს ერთიანი დღესასწაული

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე „საქართველოს ეროვნული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 26 მაისს, ნიშნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-სგან დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისი „პირველი რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში მონარქია დაამხო. 2 მარტს ტახტიდან გადადგა ნიკოლოზ II და დამყარდა ორხელისუფლებიანობა.

ქართველი პოლიტიკოსების ინიციატივით ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთისგან გამიჯვნა გადაწყვიტეს. 1917 წლის ნოემბერში თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ - ამიერკავკასიის კომისარიატმა. მას უნდა შეესრულებინა კომისარიატის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს ფუნქცია რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობის) აღდგენამდე.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ეროვნულმა ყრილობამ გადაწყვიტა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის განყვეტა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენა დაგვიანებდა, მაშინ მონწეულ იქნებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ნოე ჟორდანია.

ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელშიც შედიოდა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამ ვერ გააუმჯობესა მდგომარეობა. თურქეთმა ბათუმის საზავო კონფერენციაზე უფრო მძიმე პირობები წამოაყენა. გარდა ამისა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებოდნენ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ.

1918 წლის მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი Oფიციალურად შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მზადებას.

1918 წლის 26 მაისს გოლოვინის გამზირზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, თავისი უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიეკავკასიის სეიმმა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადდა. იმავე დარბაზში შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა და ხელისუფლება გადავიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ ხელში.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3%-მა, რომელთაგან 98,9%-მა კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დღე

ბრწყინვალე აღდგომის შემდგომ საზეიმო დღეებს კიდევ ერთი სამაისო დღესასწაული შეემატა, ეს არის 17 მაისი - ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დღე. ამ დღის აღნიშვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შარშან დააადგინა. ხოლო ორი წლის წინ 16 მაისი ჩვენმა ეკლესიამ აწყურის ღვთისმშობლის ხატის დღედ გამოაცხადა. ოჯახის სიწმინდის დღეს იმართება სახალხო მსვლელობა ჩვენს ქალაქში. მორწმუნენი იკრიბებიან სასულიერო პირებთან ერთად და თბილისის სხვადასხვა უბანში ერთდროულად აღესრულება ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი. განსაკუთრებით, აწყურის ხატს ვავედრებთ საქართველოს მთლიანობას. შემდეგ ხატებით, ჯვრებითა და ბაიარაღებით აღჭურვილი ხალხი ლოცვით მიემართება ქალაქის ქუჩებში. ბოლოს მთელი საზოგადოება თავს სამების საკათედრო ტაძარში იყრის, სადაც მათ თავად მისი უწმინდესობა ელოდება. ტაძარში ყველა ერთად შესთხოვს დედა ღვთისმშობელს, რათა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ოჯახები. ოჯახი ხომ სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედია.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პატრიარქის ამ ინიციატივამაც, მის სხვა წამოწყებათა მსგავსად, გაამართლა. ვინაიდან ჩვენს სულიერ მამას ერის მაჯისცემაზე უდევს ხელი, ესმის ხალხის გულის ხმა, იცის, რა სტკივა ქვეყანას. ოჯახის სიწმინდის დღე სახალხო დღესასწაულად, დღეცხოვლად იქცა, ამიტომაც რამდენიმე ადგილას კონცერტებიც გაიმართა.

დღევანდელი სახალხო დღესასწაული ჩვენი ხმამაღალი განაცხადია - საქართველო მუდამ ქრისტეს მცნებათა ერთგული იქნება, ვერაფერი დაემუქრება ჩვენი ოჯახების სიძლიერეს, ძალად თავსმოხვეული ბოროტი ყლორტი დასაყრდენს ჩვენში ვერ მოიძიებს. ოჯახის სიწმინდის დღეს ყველას გვახსოვს, თუ რა ძალა აქვს ერისა და ბერის ლოცვით მსვლელობას - ყოველგვარი განსაცდელი ისე განქარდება, როგორც იერიქონის დაქცეული კედლები.

ყველას გილოცავთ ოჯახის სიწმინდისა და სიძლიერის დღეს, დედა ღვთისმშობელმა გადაფაროს კალთა ჩვენს ოჯახებს!

ბოლო ზარი დაირეკა!

წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში სკოლას 300-მდე მეთორმეტე კლასელი ამთავრებს. უამრავი ახალგაზრდა თავისი ცხოვრების პირველი ეტაპის დამთავრებას, პირველ წარმატებას აღნიშნავს. მთელი გულით გისურვებთ, რომ ცხოვრების ეს ახალი ეტაპი გახდება თქვენი მომავალი წარმატებებისა და წინსვლის საფუძველი. მჯერა, რომ ჩვენი ქვეყნისა განვითარებაში თქვენ ახალგაზრდული სულისკვეთებით თქვენს სათქმელს იტყვით.

გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს, გისურვებთ თქვენი მიზნებისა და სურვილების ასრულებას!

ოთარ არბოლიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ეკატერინე ორჯონიკიძე,
ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დირექტორი.

26 მაისი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია, დღე როდესაც ქართველმა ხალხმა დიდი ძალისხმევით მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი იარსება, 26 მაისი დღემდე ყველაზე ძვირფასს თარიღად რჩება ჩვენს ცნობიერებაში.

ეს დღე გამორჩეულია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყანა, მისი წარსული და ისტორია.

მინდა მთელ საქართველოს მივულოცო დამოუკიდებლობის დღე და თითოეულ ჩვენს მოქალაქეს ვუსურვო ერთიან, ძლიერ, თავისუფალ და გამთლიანებულ სახელმწიფოში ცხოვრება.

89 წლის იუბილეს ვუილოცავ საქართველოს საამაყო სპორტსმენს, ჩემთვის ძალიან ძვირფას და საყვარელ ადამიანს, ბატონ კობა წაძაძეს ბატონი კობა გამორჩეულია არა მხოლოდ თავისი მიღწევებითა და წარმატებებით, არამედ უპირველეს ყოვლისა, ღირსებით და ადამიანობით.

განუზომლად დიდი წვლილი მიუძღვის ბაკურიანისა და საქართველოს პოპულარიზაციაში და ნამდვილად სამართლიანად ატარებს მსოფლიო ლეგენდის ტიტულს.

მინდა ვუსურვო მხნეობა, ჯანმრთელობა, დიდ ხანს სიცოცხლე და უშრეტი ენერგია, რომ კიდევ ბევრ თაობას გაუზიაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება.

რეკლამა გაზეთის ჰაერივით ესაჭიროება!

ჩვენი გაზეთის ხეობის მემატიანე „ბორჯომი“ მიმდინარე წლის 20 ივლისს 92 წლის ხდება. საუკუნეს მიტანებულმა გაზეთმა უდიდესი როლი შეასრულა ბორჯომის მოსახლეობის სულიერი, ზნეობრივი და კულტურული აღზრდისა და სრულყოფის საქმეში.

გაზეთ „ბორჯომი“ ჩვენი ხეობის თანამედროვე ისტორიის შემქმნელია და დღესაც ერთგულად ემსახურება ბორჯომელ მკითხველებს.

სამწუხაროდ, 2023 წელი გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ჟურნალისტებისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა. მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში საეჭვო ვითარებაში გაიმარჯვა უფრო „მოხერხებულმა“ პიროვნებამ, რომელიც სანახევროდაც ვერ ასრულებს მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულების მოთხოვნებს და არც პრესის შესახებ არსებულ კანონის მოთხოვნებს იცავს. გამვლელ-გამომვლელებს, პედაგოგებს და წარმოება-დაწესებულებებს თავის გაზეთს უფასოდ (ძღვნად) ურიგებს. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვაზე ხომ საუბარი ზედმეტია. (ვრცლად ამ ფაქტების შესახებ ახლო მომავალში წერილს შემოგთავაზებთ).

დღეს გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ჟურნალისტებს ფაქტიურად, ენთუზიაზმით გვიწევს მუშაობა და სამ თვეში ერთხელ ვიღებთ მიზერულ ხელფასს (საშუალოდ 200-250 ლარს). ამიტომ ჩვენს ერთგულ მკითხველებს, ბორჯომელ ბიზნესმენებს, ინდმეწარმეებს, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს მოგიწოდებთ, გაზეთ „ბორჯომში“ შეღავათიან ფასებში გამოაქვეყნოთ თქვენთვის სასურველი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები და ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც სარგებელს მოუტანს თქვენს კომპანიას და რედაქციას.

მთელმა რიგმა წარმოება-დაწესებულებებმა ჩვენს მიმართ ქველმოქმედებაც გამოიჩინა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ჩვენ ურთიერთთანადგომით გადავარჩენთ გაზეთ „ბორჯომს“.

ჩვენი მისამართია: ქ. ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2, ტელ: 22-29-65, 599-227 929

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია.

ბაკურიანის რეკრეაციული ზონის განვითარება გრძელდება

ეკა ორველიკიძე, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დირექტორი:

ივნისში ერთი წელი გახდება რაც ბაკურიანის განვითარების სააგენტო სრული დატვირთვით ამუშავდა. ყველაზე დიდი გამოწვევა იყო, რა თქმა უნდა, ზამთრის სეზონი, როდესაც ბაკურიანმა ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. უკვე ვიცით, რომ ეს უპრეცედენტო სპორტული მოვლენა იყო არა მარტო ბაკურიანისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის ტურისტების მოზიდვის მხრივ და ზამთრის სპორტის ამ სახეობების განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ჩემპიონატს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სპორტულ სამყაროში. პირდაპირ ეთერში შეჯიბრებებს 150 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს. ძალიან ბევრმა ისეთმა ადამიანმა დამირეკა სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებმაც არ იცოდნენ, სად იყო არა მარტო ბაკურიანი, არამედ საქართველო ზოგადად.

- ასეთ მასშტაბურ ღონისძიებას საჭიროა, რომ ადგილზე გამართული სამსახურები დახვდეს და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველა უწყებას, რომლებიც პირდაპირ ჩართულები იყვნენ ჩემპიონატის მონყობასა თუ ორგანიზებაში - საქართველოს სათხილამურო ფედერაცია, ტურიზმის ადმინისტრაცია, ადგილობრივი ხელისუფლება, მთის ტრასების სააგენტო - ყველას კოორდინაციას უწევდა ბაკურიანის განვითარების სააგენტო.

ბაკურიანის სააგენტო არის საქართველოში ინოვაციური მოდელი, რამაც ნამდვილად გაამართლა. ჩვენ ვართ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქოლგის ქვეშ და რა თქმა უნდა, აქ ის განკარგავდა ყველაფერს, ისევე როგორც რაიონის სხვა დასახლებებში. მაგრამ ბაკურიანი ძალიან გაიზარდა და ამავე დროს რადგან ის საერთაშორისო დონის კურორტია, მას ადგილზე ესაჭიროება პრობლემების მართვა და გადაჭრა. ამიტომ სააგენტომ შექმნა თავისი დამოუკიდებელი სამსახურები (დასუფთავების, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ზედამხედველობის, ადმინისტრაციის და ა.შ.)

წლების განმავლობაში ბაკურიანში იყო ნარჩენების გატანის პრობლემა, წელს ეს პრობლემები აღმოიფხვრა, იმიტომ რომ ადგილზე მუშაობს დასუფთავების სამსახური, გვაქვს შესაბამისი ტექნიკა.

ბაკურიანის განვითარება წლებია ქაოტურად მიმდინარეობდა და სააგენტოს მთავარი მიზანიც ზუსტად ისაა, რომ შესაძლებლობის მიხედვით გავკეთილშობილოთ ბაკურიანი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პრემიერის მიერ ინიცირებული ორწლიანი პროექტი რეგიონების განვითარების ფარგლებში. ეს პროექტი მოიცავს ბაკურიანის იერსახის მოწესრიგებას - ღობეების შეცვლა, შენობების რეაბილიტაციას და ა.შ. ასევე იყო წყალარინების პრობლემა წლების განმავლობაში. მთლიანად შესაცვლელია წყალგაყვანილობა. ერთი ხელის მოსმით პრობლემები არ გადაიჭრება.

ასევე იგეგმება წრიული გზის შიდა ტერიტორიის მოწესრიგება, გამოვაცხადებთ კონკურსს. ტექნიკურ დავალებაში გვიდევს, რომ აქ ძირითადი აქცენტი უნდა იყოს გამწვანებაზე - ეს იქნება რეკრეაციული ადგილი, სპორტული ატრაქციები, მოსასვენებელი ადგილები - საპარკინგე სივრცე. მოკლედ, შენდება ახალი ბაკურიანი, იმიტომ რომ, არსებული მრავალბინიანი ახალი შენობები ტურისტულ და კურორტის იერსახეს უკარგავს ბაკურიანს.

ბაკურიანი უნდა გახდეს ოთხი სეზონის კურორტი, რადგან წელს ისე გვიან მოვიდა თოვლი, არ გვინდა მომავალშიც დამოკიდებულები ვიყოთ თოვლის მოსვლაზე. საათხილამურო ტრასებზე ხელოვნური გათოვლიანების სისტემა იმუშავებს და სრიალის მოყვარულებს პრობლემები არ შეექმნებათ უთოვლობის გამო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - კუკუშკა, ბაკურიანის და მთელი რეგიონის მარგალიტი, რომელიც პანდემიის შემდეგ არ ფუნქციონირებს. ამ თემაზე დაწყებული გვაქვს საუბარი საქართველოს ხელისუფლებასთან, ბატონი პრემიერიც და რკინიგზის დეპარტამენტიც ჩართულები არიან ამ პროექტში. ყველა, ვინც ჩამოდის დასასვენებლად, აინტერესებთ თუ შეძლებენ კუკუშკით გასეირნებას. კუკუშკა უნიკალურია იმითაც, რომ მსოფლიოში ვიწროლიანდაგიანი მატარებლები ბევრი აღარაა და ძირითადად ისინი ტურისტულ ატრაქციონებს წარმოადგენს. ამიტომ მისი რეაბილიტაცია და ხელახლა ამუშავება უმნიშვნელოვანესია რეგიონისთვის.

ასევე დღის წესრიგშია ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღის გახსნა, რომელიც წლებია რაც დაკეტილია. აქაც ეტაპობრივად იგეგმება სამუშაოები და წელს ზაფხულში უნდა გაიხსნას.

რაც შეეხება ბაკურიანის ქაოტურ განაშენიანებას, ბაკურიანის საკურორტო იერსახიდან საერთოდ ამოვარდნილია ეს ახალი ტიპის ბინები. ჩვენი სააგენტოს არქიტექტურის სამსახური მონდომებული ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, გამკაცრებულია რეგულაციები მშენებლობებთან დაკავშირებით. კოეფიციენტები მკაცრად გაკონტროლდება, დასაშვები იქნება მხოლოდ სამი სართული. არეალსაც გააჩნია, სად როგორი ტიპის მშენებლობა იქნება დასაშვები. ასევე აუცილებლად უნდა იყოს ერთი ტიპის შენობები, შესაბამისი ღობეები და ა.შ. მორგებული კურორტის იერსახესთან. მკაცრად კონტროლდება ახალი მშენებლობები, თუ ვინმე შეეცდება კანონის დარღვევას, მოწოდების სიმაღლეზეა ჩვენი ზედამხედველობის სამსახური.

მნიშვნელოვანია ასევე ბაკურიანის პარკი და მისი რეაბილიტაცია, რომელზეც 10 მილიონი ლარი იხარჯება. მისი განახლება მუნიციპალური განვითარების ფონდის დონორობით ხორციელდება. სარემონტო სამუშაოების დიდი ნაწილი ივნისს ბოლომდე დასრულდება, აგვისტოს ბოლოს კი იქნება სრულიად რეაბილიტირებული.

ზაფხულიდან დაიწყება სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა. სამომავლო პროექტები მოიცავს ასევე სავაჭრო ცენტრისა და პატარა ფორმატის აეროპორტის აშენებას პრივატული თვითმფრინავებისათვის.

ასე რომ, ნაბიჯნაბიჯ წინ მივიწევთ ბაკურიანის განვითარებისათვის!

სარეაბილიტაციო სამუშაოები

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის სანაპიროზე, ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ამის შესახებ ინფორმაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე მოეწყობა საყრდენი კედელი, შიდა ბილიკები, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, ფიტნეს-ტრენაჟორები, ფანჩატური, წყლის ბიუვეტი, დეკორატიული საბაღე სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდება დეკორატიული ლამპიონები და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები.

როგორც ბორჯომის მერიაში აცხადებენ, პროექტი ორ ეტაპად განხორციელება და მისი საერთო ღირებულება 846 155 ლარს შეადგენს.

ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოების ფარგლებში, სრულად განახლდება შენობის ფასადი. შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემა, კარ-ფანჯარა, მოეწყო სახანძრო სიგნალიზაცია, შენობა გადაიხურა ახალი სახურავით. ასევე, ოთახებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

„ბორჯომში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი - ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ეს იყო უკვე მოძველებული სივრცე, ამიტომ, მასში სრულად შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემები, ხოლო ძველი კაბინეტური ტიპის ოთახების ხარჯზე მოეწყო თანამედროვე, ღია სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ლიტერატურის კუთხე, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ.**

საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ბორჯომში, საკაძის ქუჩის ე.წ. „ექიმების“ მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, რომელიც შეიფუთა ახალი სტანდარტების შესაბამისი მასალით, და ფიბროცემენტის პანელებით, ასევე განახლდა აივნები და შეიცვალა კარ-ფანჯარა.

ფასადების რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 204 000 ლარით დაფინანსდა.

მიმდინარე წელს ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის №85, 91 და 93-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია განხორციელდება.

გერმანელი ჟურნალისტები ბორჯომში

ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე გერმანიის რეკონქციისა და საკრედიტო ბანკის (KfW) ორგანიზებით, გერმანელ ჟურნალისტებს საინფორმაციო ტური ჩაუტარდათ. შეხვედრას გერმანიის ელჩი საქართველოში ერნესტ პიტერ ფიშერი ესწრებოდა, ამის შესახებ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გერმანული მედიის წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე იმ პროექტებსა და მიმდინარე გეგმებს გაეცნენ, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციისა და საკრედიტო ბანკის (ფჭ) მიერ ხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის განვითარების მიმართულებით.

სწავლული ადამიანთა განმარტებები დემოგრაფიის პრობლემებზე!

ცნობილი ეკონომისტი **სოსო არჩვაძე** აცხადებს - საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 860 ათასის ფარგლებშია, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ სავარაუდოთ 950 ათასი ადამიანია.

ამ მონაცემებით საქართველომ მორიგი ანტირეკორდი დაამყარა. ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა საზღვარგარეთაა დასაქებული. საქართველო უიშვიათესი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებით დასაქმებული უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ქვეყნის შიგნით. სწორედ მათ ხარჯზე ქვეყნის შიგნით გარკვეულწილად იზრდება მოთხოვნილება, გადახდისუნარიანობა და რასაც გარკვეული როლი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში, თუმცა ეს ადამიანები თავისი ცოდნით და გამოცდილებით საქართველოსათვის ადგილზე უფრო მეტის მომტანი იქნებოდნენ.

სამწუხაროდ, თითქმის ყოველი მეექვსე მოქალაქეს უცხოეთში ყავს ოჯახის წევრი, რომელიც რეგულარულად უგზავნის ფულს, ასევე ყოველი მეექვსე მოქალაქე ემიგრაციაში წასვლაზე ფიქრობს. არადა, ბიზნესის და ზოგადად ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ქვეყნიდან ადამიანური რესურსის გადინებაა.

როგორც წესი, ბიზნეს ქმნიან ადამიანები, ფული და მანქანები ბიზნეს არ აკეთებენ. ეს ჭეშმარიტება უნდა ესმოდეს ყველას, სამწუხაროდ, ემიგრაციაში წამსვლელებს გასაგებად არ ესაუბრებიან, რის გამოც ვკარგავთ ყველაზე აქტიურ ადამიანებს.

შარშან ქვეყანა 100 ათასმა ადამიანმა დატოვა, აქედან 84 პროცენტი შრომისუნარიანი იყო, მათი წავლის მიზეზი მარტო სოციალური პრობლემები არაა, ზოგი ფეხის ხმასაა აყოლილი, ზოგს ორ-სამ თვეში მილიონერობა უნდა, ზოგი საზღვარგარეთ ოქროს კოშკებს ხედავს და ჰგონია, უშრომელად და ოფლის ღვრის გარეშე უზრუნველ ცხოვრებას მიაღწევს. სამწუხაროდ, ემიგრაციაში წამსვლელთა უმრავლესობას არ გააჩნია მაღალპროფესიული განათლება, არ იცის უცხო ენა, ისნი ძირითადად სოციალურ სფეროში საქმდებიან (მოხუცების მომვლელებად, მეეზოვეებად, მიმტანებად და ა.შ.). მათთვის მიუწვდომელია მაღალტექნოლოგიების მართვის სფეროში დასაქმება. ამ და სხვა აქტუალური საკითხებით ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ფსიქოლოგებიც უნდა დაინტერესდნენ, დროა, ხელისუფლებამ იცოდეს, რატომ გარბის ხალხი საზღვარგარეთ, როგორ შეიძლება ამ ადამიანების ადგილზე დასაქმება, რომელი პროფესიებია მიზანშეწონილი, ვასწავლოთ უმუშევრად დარჩენილებს, თორემ ქვეყანაში სულ მალე ქართველი აღარ იქნება, ტურიზმის განვითარება კარგია, მაგრამ მარტო ტურიზმით ქვეყანა მდიდარი ვერ იქნება, ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის განვითარების მოკლევადიანი, შუალედური და პერსპექტიული გეგმა, შექმნას ქვეყნის განვითარების ის მოდელი, რომელიც ხალხს კი არ გააქცევს, არამედ დაასაქმებს და ახლო მომავალში იმედს შეუქმნის და უზრუნველყოფს მაღალი შემოსავლებით, აცხადებს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ გენერალური დირექტორი **პაატა ტრაპაიძე.**

წლის მენარმეობის საუკეთესო მასწავლებელი ნინო კევლიშვილი გახდა

2023 წლის 12 მაისს, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო-მ, აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის, „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში, სამეწარმეო განათლების კონფერენცია ჩაატარა. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ „ჯუნიორ ეჩივმენტი ალუმნი საქართველო“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი და „PMI თბილისი, საქართველო“.

ღონისძიების ბოლოს გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

წლის მოსწავლეთა კომპანია, წლის მენარმეობის მასწავლებელი,

წლის სამეწარმეო სკოლა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მენარმეობის საუკეთესო პედაგოგი ნინო კევლიშვილი გახდა.

ქალბატონი ნინო უკვე 8 წელია ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში მენარმეობის საფუძვლებს ასწავლის და მისი მენტორობით მოსწავლეთა არაერთი კომპანია შექმნილა.

გამარჯვებულმა პედაგოგმა კონფერენციაზე პრეზენტაცია წარადგინა. მან საკუთარ მოხსენებაში რვაწლიანი მუშაობის შესახებ და იმ გუნდების წარმატებაზე ისაუბრა, რომლებიც ამ რვა წლის მანძილზე ღირსეულ ადგილს იკავებდნენ სამეწარმეო ფესტივალში მონაწილე გუნდებს შორის. ,,ფერადი ხელები“, ,,Carpe diem“ - დაიჭირე წამი, ,,Id in New''-ძველი ახლით, ,,Soft World'' - „რბილი სამყარო“, ,,Ancient beauty'' - ანტიკური სილამაზე, ,,APOLLON -პოლონი, ,,PACIFC-''პაციფიკა, ,,NISHI''-ნიში, ,,NETBOX''- ნეთბოქსი, ,,HEALTHY LIFETIME''- „ჯანსაღი ცხოვრების გზაზე“, ,,MEGALON''- მეგალონი. ეს ის გუნდებია, რომლებიც ქალბატონი ნინოს მენტორობით იღებდნენ 8 წლის მანძილზე მონაწილეობას მენარმეობის ფესტივალზე და ღირსეულ კონკურენციას უწევდნენ ფესტივალში მონაწილე გუნდებს. ქალბატონ ნინოს მოულოდნელი გამარჯვებისა და განცდილი ემოციების გაზიარება ვთხოვეთ:

ნინო კევლიშვილი – „წლის მენარმეობისს მასწავლებლის“ გამარჯვებული: - მსოფლიოში არ არსებობს სიტყვები, რომლებიც ახლოსაა იმასთან თუ რამდენად მადლიერი ვარ ჩემი მოსწავლეების. მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს, ბედნიერი ვარ, რომ ეს შრომა დაგვიფასდა. წელი არ გასულა, რომ წარმატებულად არ მიგვეღო მონაწილეობა მინი კომპანიების მენარმეობის ფესტივალში. გამარჯვება კი ნამდვილად სიურპრიზი იყო, არ მოველოდი. როდესაც პრეზენტაცია წარვადგინე და განვლილ წლებს და მინი კომპანიებს გადავხედე, ამაყი ვიყავი.

მადლობა ჩემს სკოლას, მოსწავლეებს, რომლების ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან.

გაზეთ „ბორჯომის“ ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა ქალბატონი ნინოსა და მისი მოსწავლეების წარმატებების შესახებ და რა თქმა უნდა, არც ახლანდელი მისი გამარჯვება არ არის გამონაკლისი. ამიტომაც გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს ქალბატონ ნინოს ღირსეულ წარმატებას.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

საინტერესო ადამიანები

ერთგული მსახური საქმისა

საინტერესო ადამიანები, პროფესიონალები, პასუხისმგებლიანები ვუხერეთ, ყოველთვის უნდა გამოვარჩიოთ, რომ შემდეგ სხვებისთვის ეს იყოს სამაგალითო, ეგალური ან თუნდაც, „კეთილად მგაკლელ“. მოგხვდეთ ვარ ასეთი ადამიანები საზოგადოების წინაშე მეგად უნდა წარმოვაჩინოთ, მიუხედავად დასადგურებული აზრისა: „სანდვამ შენგან წარმოაჩინოს შენ“... არც უმაგისოა. ბორჯომის ეროვნულიტების მერიაში, კულტურის სამსახურში მერმანელი სიზმინდოსილი საქმისადმი სულიერად მიდგომა შეიტანა ჩრდილის და არ ჩანდეს, მაგრამ ერთგული მსახური იყო საქმისა. ძეთეევან გერეზაშვილი ჩვენი გაზეთის რედაქციის მიერ მომზადებულ შრომებს ეთვისებინ დასრულებს, რადგან ეროსსერი ინტერვიუსგან განსხვავებით, გვინდა რესპოდენტის შემოქმედებით წარმოდგენა და ინტელექს მივიღოთ. მეორე, რომ ექსპერიმენტი პიროვნების საუკეთესო თვისებებს და შეხედულებებს წარმოგვიჩენს.

● **მე - ქეთევან ბეროზაშვილი...**

- დავიბადე და გავიზარდე ბორჯომში, თუმცა, ჩემი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი, ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლის პერიოდი (თავად განსაჯეთ - 16-33 წელი, თბილისში გავატარე, რამაც დიდი კვალი დატოვა ჩემზე. მყავს ბევრი მეგობარი თბილისში, რომელიც ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილს შეადგენს. ხასიათს რაც შეეხება - ეს სხვამ უნდა თქვას, უპირველესად. მორიდებულიც ვარ და გამბედავიც, ემოციური, მიყვარს სიწყნარეც და მარტო ყოფნაც, ბუნება ძალიან მიყვარს, მეგობრებთან ყოფნა და ბაასი, და ა.შ.

● **ბავშვობას მოვიხსენიებ, როგორც...**

სოციალური პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველს. ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული ჩვენს ბავშვობაზე. თუმცა ვამბობ, რომ ადამიანი პიროვნულად არ იცვლება მთელი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ბავშვობის წლებს ხასიათის შემდგომ გამოვლინებებსა და საზოგადოებასთან შემდგომ ურთიერთობებზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვების აღზრდაში დაშვებული შეცდომები ან პირიქით, სწორი მიდგომები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის შემდგომ ქცევებზე. ძნელად თუ შეუძლია ვინმეს ბავშვობის კომპლექსების დაძლევა. კომპლექსში არ იგულისხმება მხოლოდ არასრულფასოვნება. პირიქითაც ხდება და ბავშვობის დანაკლისებს, ოცნებებს, განმტკიცებულ იდეალებსა და სტერეოტიპებს კი მთელი ცხოვრება მისდევ.

● **დილა იწყება... სწორადად...**

- როდესაც მე დავიბადე... ეს იყო ღვთის წყალობა და დიდი ბედნიერება უპირველესად, ჩემთვის, რომელსაც, რასაკვირველია, მაშინ ვერ ვაცნობიერებდი

● ჩემთვის კომფორტია... ჩემს მეგობრებთან, ჩემს საყვარელ ადამიანებთან ყოფნა, ლამაზი და კომფორტული გარემო, ჩემი ოთახი.

● **არასოდეს ვსაუბრობ...** პოლიტიკაზე. იმდენს და ისე მრავალფეროვნად საუბრობენ, რომ ჩემთვის ადგილი აღარ რჩება.

● **ველაზე ხშირად მეცინება...** საკმაოდ ძნელია ადამიანის გაცინება, მეც არ მივეკუთვნები მოხითხითეთა რიგს, მაგრამ თუ ვინმე ან რაიმე გამაცინებს, ამას დიდად ვაფასებ. მიყვარს ინტელექტუალური იუმორი, რომელზეც გულიანად და თავშეკავებულად ვიღიმი.

● **განწყობის ადამიანი ხარ?...**

ჩემი განწყობა აუცილებლად აისახება ხასიათზე, არ ვარ ის ადამიანი, რომელიც საგულდაგულოდ მალავს ემოციებს. ძალიან კარგ გუნებაზე ვდგები, როცა საქმეს წარმატებით დადებითად დავასრულებ, მაშინ მართლა კომფორტის, თვითკმაყოფილებისა და სიმშვიდის განწყობა მეუფლება. განსაკუთრებულ განწყობაზე მაყენებს ქართული ლიტერატურის კითხვა, ქართველი კლასიკოსები და დიდი ადამიანების ნაშრომები.

● **სულ მინდოდა გამოვსულიყავი...**

- მათემატიკოსი. ასევე ჩემი ჰობი ნამდვილად არის ცეკვა, თუმცა, მოცეკვავე, როგორც პროფესია, არასდროს მდომებია.

● **სიამოვნებით ვიმოგზაურებდი...**

- ყველგან! მათ შორის ანტარქტიდაზე. ძალიან მაინტერესებს „ბებერი ევროპა“. ტყუილად არ მითქვამს ეს ეპითეტი, სწორედ სიძველეები მაინტერესებს, მიყვარს ისტორიული ქალაქები, ულამაზესი, თვითმყოფადი არქიტექტურა და ყველაფერი ავთენტური, რომელსაც თავისი ისტორია და განწყობა მოაქვს, რომელიც ცოცხლდება და თითქოს წარსულში გამოგზაურებს. ამაზე საინტერესო რა უნდა იყოს?... მაგრამ აზია თითქოს უფრო იდუმალი, უფრო ძველი, მისტიური და ამოუცნობია, რაღაც ისტორიული ჟანრის კინოსავით.

● **არ მიყვარს...**

- ჩხუბი ადამიანებთან და ადამიანებს შორის. ამაზე ყოველთვის ძალიან ვშფოთავ და ვნერვიულობ. არ მიყვარს ადამიანების უსამართლობა, ასევე მაწუხებს არალოგიკური „აზროვნება“ და...

● **პერსონაჟი, რომელსაც დაამსგავსებდი საქართველოს...**

- „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა...“ ეს გამახსენდა ახლა და ჩვენც ხომ სულ მაგის მოლოდინში ვართ? რა ვიცი, საქართველოს იმდენი პროტოტიპი ყავს ლიტერატურაში, სათვალავი აგერევა. სულიკოდან დაწყებული, ამირანითა და არნივით გაგრძელებული, გოგჩათი და აკაკი ხატით დასრულებული.

● **წიგნი, რომლის წაკითხვამ შემცვალა...**

- ალბათ, პირველმა, რადგან ეს იყო სწორედ იმ ცოდნის გასაღები და დასაწყისი, რასაც წიგნი გვაძლევს. ყველა წიგნი ცვლის ადამიანს, განსაკუთრებით კლასიკის კითხვა, რომელიც მარადიულ ფასეულობებს ეფუძნება და ნაბიჯ-ნაბიჯ, წიგნიდან წიგნამდე ზრდის ადამიანს სულიერად, მორალურად, გონებრივად, აღარაფერს ვამბობ ცოდნაზე, რაც თავისთავად იგულისხმება.

● **ცრემლს მგვრის...**

- ქართული ცეკვის ყურება. გულს მიჩუყებს.

● **შესაძლებლობა რომ მომეცეს, რას ვკითხავდი გალაკტიონს?**

- რა საიდუმლოს ინახავდა მისი გული ასე საიმედოდ („მე და ღამე“)? და ვინ იყო ის ქალი, ასეთი ცისფერი?

● **მეგობრობა არის...**

- ცხოვრებაში პიროვნულად შემდგარი ადამიანების ურთიერთობა, სიყვარული და ერთგულება. თუ ძლიერი ადამიანი არ ხარ, ხანგრძლივ მეგობრობას ვერ გაუძლებ.

● **დაკისრებული საქმე ადამიანისთვის არის...**

- საქმე, რომლის შესრულება არა მარტო მოვალეობის ან ანაზღაურების, არამედ მისი პირადი პასუხისმგებლობის, ცოდნისა და პატიოსნების პრიზმაში გადის.

● **გამოცდილებამ მასწავლა...**

- თუ პროფესიული თვალსაზრისთ შეეხედავთ, ძალიან ბევრი რამ. მოკლედ რომ ვთქვა.

ესაუბრა მონიკა ქანტურია

საბავშვო ბაღიდან დიდ სცენამდე

კვირაში სამი დღე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისაკენ ანსამბლ „ონავრების“ ნევრები მიიჩქარიან. სწორედ აქ, ამ სახლში მათთვის კვირეულის სიმღერის პედაგოგი თამარ კუჭაძე ორი საათის მანძილზე გაკვეთილს ატარებს. ორი დღე ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერიან, ხოლო ერთი დღე საესტრადო სიმღერებს ეთმობა.

ანსამბლი „ონავრები“ 2015 წელს შეიქმნა ჯერ კიდევ ბორჯომის №4 საბავშვო ბაგა-ბაღის ბაზაზე. ანსამბლის პირველი წევრებიც სწორედ ბაღის აღსაზრდელები გახლდნენ. ამ საოცარი ბავშვების გასაცნობად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისაკენ გავეშურე და სიმართლე გითხრათ - ისეთი წვიმიანი ამინდი იყო, არც მეგონა, რომ იქ მოსწავლეები დამხვდებოდნენ. ჯერ კიდევ ეზოში მყოფს შემომესმა სცენამდე ომახიანი „ქალებს ჩაუბამთ ფერხული“ და მეც შენობის იმ მხარეს გავეშურე, საიდანაც სიმღერის ჰანგები მოდიოდა. შესულს დაახლოებით ოცამდე ბავშვი, პედაგოგი და რამდენიმე მშობელი დამხვდა. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, მაშინვე აღვნიშნე ჩემი გაოცება, ამდენს ასეთ ამინდში მართლა არ მოგელოდით-თქო. თუმცა, პედაგოგმა და მოსწავლეებმა მაშინვე ერთხმად აღნიშნეს, რომ მათთვის ამინდს მნიშვნელობა არ აქვს. მე ჩემთვის განკუთვნილ ადგილზე ვჯდები და კიდევ დამატებით მათ მიერ შესრულებულ რამდენიმე სიმღერას ვისმენ და ბოლოს, უკვე მათი ტკბილი ხმებით მონუსხული ვაგრძელებ პედაგოგთან და მოსწავლეებთან საუბარს.

თამარ კუჭაძე პედაგოგი: - ანსამბლი ჯერ კიდევ 2015 წელს შეიქმნა ანუ მაშინ, როდესაც ბორჯომის №4 საბავშვო ბაღში ვასწავლიდი მუსიკას. პირველი მოსწავლეებიც სწორედ ბაღის აღსაზრდელები იყვნენ. მახსოვს, რამდენიმე მათგანი როგორ მომყავდა სადილის შემდეგ, რათა გაკვეთილი ჩაგვეტარებია. სწორედ ბაღის აღსაზრდელები იყვნენ ჩემი პირველი მოსწავლეები და რამდენიმე მათგანი დღესაც აქ მღერის. მათ შემდეგ თავიანთი და-ძმები და მეგობრებიც შემოემატნენ, ზოგმა დაგვტოვა კიდეც. დღეს კი ანსამბლს 26 წევრი ყავს. თავდაპირველად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლის სახელით გამოვდიოდით და შემდეგ დავარქვით სახელიც. ის, რომ მე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მესწავლებინა, ამ ყოველივეს ინიციატორი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ბატონი ნოდარ გოგოლიძე. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ჩემმა „ონავრებმა“ ბევრ სცენას, გაჭირვებასა და საკმაოდ ცუდ პირობებს გაუძლეს და მოვიდნენ დღემდე. დიდი პაუზა გვქონდა პანდემიის პერიოდში და თითქმის ყველაფერი ხელახლა დავიწყეთ, თუმცა ახლა განახლებულ შენობაში, უდიდესი შემართებითა და ახალის რეპერტუარით ვხვდებით ჩვენ მსმენელებს.

გიორგი ჩოჩნიძე ანსამბლი „ონავრები“ 2015 წელს შეიქმნა ჯერ კიდევ ბორჯომის №4 საბავშვო ბაღში. ბაღიდან მიყავდა თამრიკო მასწავლებელს და გაკვეთილების შემდეგ უკანვე აბრუნებდა მშობლებთან სახლში.

გიორგი ჩოჩნიძე: საბავშვო ბაღში როდესაც დავდიოდით, მუსიკას თამრიკო მასწავლებელი გვასწავლიდა და მე და ჩემი ჯგუფელები სადილის შემდეგ მივყავდით ავტობუსით გაკვეთილის ჩასატარებლად და როდესაც გაკვეთილი დამთავრდებოდა, ყველას სახლებში გვაბრუნებდა. მახსოვს, გუნდის სახელზე ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ისეთი ცელქები ვიყავით, რომ „ონავრები“ დავარქვით.

ანსამბლს 8 წლიანი არსებობის მანძილზე უამრავი სერთიფიკატი, თასი თუ ჯილდო ხვდა წილად. ჯილდოებს შორის აღსანიშნავია საახალწლო-საშობაო გალა კონცერტზე „ზამთრის ზღაპარი“ ლაურეატის წოდება, ფოლკლორულ ფესტივალში „ეროვნული საგანძური“ ლაურეატის წოდება), ასევე ფოლკლორილ ფესტივალში „საქართველოს მარგალიტები“ ლაურეატის წოდება და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ 10 აგვისტოს ანსამბლი „ონავრები“ გაემგზავრება ბულგარეთში ფესტივალზე, სადაც ხალხური სიმღერის გარდა რამდენიმე საესტრადო სიმღერას წარადგენს. რეპერტუარში აუცილებლად იქნება „თბილისო“ და „სულიკო“.

აღნიშნული ფესტივალისა და ონავრების შესახებ საკუთარი მოსაზრება ვთხოვე დაეფიქსირებინა ქალბატონ **ელისო კაპანაძეს,** რომლის ორგანიზებითაც ხდება საქართველოდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო ფესტივალებზე ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების წარდგენა.

ელისო კაპანაძე: – 10 აგვისტოს ბულგარეთში გაიმართება საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობას მიიღებს დახლეობით 15-მდე ფოლკლორული და საესტრადო-ვოკალური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. უშუალოდ ჩემი შუამდგომლობითა და ორგანიზებით მოხდა საქართველოდან როგორც ქართული, ასევე უცხოური სიმღერების წარდგენა იქაური ორგანიზატორებისათვის, რის საფუძველზეც შეირჩა საქართველოდან რამდენიმე ანსამბლი და მათ შორის ქალბატონ **თამარ კუჭაძის** ანსამბლი „ონავრებიც“.

რაც შეეხება თვითონ თამარ კუჭაძეს გეტყვით იმას, რომ იგი არის საოცრად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და პერსპექტიული პედაგოგი, რომლის მსგავსიც ნამდვილად იშვიათია არა მარტო პატარა რაიონში, არამედ თბილისშიც, რადგანაც ძალიან ბევრი სტუდიებია, რომლებიც მუშაობენ, აკეთებენ საკუთარ საქმეს, თუმცა თამარის შრომა ნამდვილად გამორჩეულია, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა და სწორედ ამიტომაც არის „ონავრები“ მიწვეული ფესტივალზე. ვიმედოვნებ, რომ ბულგარეთიდანაც დიდი წარმატებით დაბრუნდებიან.

ნატო მელიქიძე

რას გვაუწყებს ყვიბისის ბერთა საყდარში აღმოჩენილი სარკოფაგი

არავინ იცის, რამდენ საიდუმლოს ინახავს ჩვენი ისტორია, რომლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მათ შორის არის სოფელ ყვიბისის ბერთა საყდრები, რომლებიც XVII საუკუნეში შემოსეულმა თურქეთის იმპერიამ გაანადგურა. ამ ისტორიის იდუმალ მოწმედ აქ არაერთი ნანგრევი დარჩა, რომელთა საიდუმლო დღევანდელ სასულიერო მოღვაწეთა თაოსნობით ამოიხსნა. 2020 წელს სწორედ მათ მოიწვიეს მეცნიერები ბერთა საყდრების შესასწავლად. როდესაც არქეოლოგმა გიორგი მწყერაძემ აქაურ უამთა სვლას უზარმაზარი მიწის საფარი გადააშორა, დაახლოებით X საუკუნის დროინდელი წმინდა მამის სარკოფაგი აღმოჩნდა ათასწლოვანი ბინადარის ნეშტით, რომელიც ცნობილმა პალინოლოგმა ელისო ყვავაძემ შეისწავლა, მასთან ერთად კი ანთროპოლოგმა ლია გითაძემ, რომლის თქმითაც, დაკრძალული წმინდა მამა 65 წლის ასაკშია გარდაცვლილი. ყვიბისის საყდართა ნაშთებში სასულიერო მოღვაწეების კიდევ 700 თავის ქალა ინახება. პალინოლოგი ელისო ყვავაძე ექსკლუზიურად გვიამბობს:

– ყვიბისის სარკოფაგი ულამაზესი და უნიკალურია, მშვენიერი გამოსახულებებით შემკული და იმდენად დაცული, რომ გათხრების დროს რამდენიმე კაცმა ძლივს ახადა თავი. სარკოფაგში სავარაუდოდ, X საუკუნის სასულიერო მოღვაწეა დაკრძალული, რომელიც უამთა სვლამ მიწით დაფარა და დღეს უამრავ რამეს გვაუწყებს მეცნიერების საშუალებით. მაგალითად, რა კლიმატური პირობები იყო იმ დროს რას საქმიანობდა ადამიანი, რით ცხოვრობდა მაშინდელი საქართველო. სასულიერო პირი შავი სამოსით იყო შემოსილი.

– ნუთუ ფერის დადგენაც შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა. ამას სხეულზე დარჩენილი და შემდეგ უკვე მტვრადქცეული სპორების მეშვეობით — ვსწავლობთ შალს საქართველოში ოდითგან აწარმოებდნენ, ბამბა კი ინდოეთიდან შემოქონდათ. დადგინდა, რომ სასულიერო მოღვაწე ავადობდა, მაგრამ ტყეში მაინც შრომობდა. ამის დადგენა იმ მტვრით შეიძლება, რომელიც აკლდამაშია განფენილი. ავადობის დასაამებლად სამკურნალო მცენარეებს იღებდა: გვიმრას, ვარდკაჭკაჭასა და მატიტელას. მათი მტვერი მისი მუცლის არეში აღმოჩნდა.

სასულიერო მოღვაწე თურმე ზეთისხილსაც მიირთმევდა. რატომ არის ეს საინტერესო?

იმიტომ, რომ ზეთისხილი იმ დროს, X საუკუნეში, ბორჯომის ხეობაში ხარობდა; იქ, სადაც ახლაც ძალიან ძნელია მისი გახარება დაბალი ტემპერატურის გამო. ეს კი ნიშნავს, რომ იმხანად საქართველოში იმაზე მეტად ცხელოდა, ვიდრე დღეს ცხელა. სხვათა შორის, ამას ისიც ადასტურებს, რომ იმ პერიოდში ტაძარი მყინვარწვერზეც კი იყო, ზღვის დონიდან დაახლოებით 4000 მეტრ სიმაღლეზე. ჩვენ მყინვარწვერის ამ ტაძრის ნაშთებიც გვაქვს შესწავლილი, მათ შორის, სანთლებიც, რამაც სენსაცია გამოიწვია. ხომ წარმოგიდგენიათ, დღეს მყინვარწვერზე ტაძარი, სადაც ყინულის გამო ხანგრძლივი გაჩერებაც შეუძლებელია.

თქვენთან ერთად მომავლის იმედი ყვიბისის აკლდამის უძველესმა ბინადარმაც „მომცა“. საქართველო, მაღალი ტემპერატურის მიუხედავად, სწორედ ამ დროს იყო ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი, თავისი ოქროს ხანით, განვითარებული ეკონომიკით.

– სწორედ ასე იყო, ძალზე განვითარებული ვიყავით, რისი გაკეთებაც დღევანდელ კლიმატურ პირობებშიც შეიძლება, თუ მოვინდომებთ. ამას გვიდასტურებს ყვიბისიც, რომელიც ქართული აღმოჩენების ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესოა.

ეთერ ერაძე,
გაზ. „კვირის პალიტრა“.



ყვიბისის სარკოფაგში X საუკუნის სასულიერო მოღვაწეა დაკრძალული, რომელიც ჟამთა სვლამ მიწით დაფარა და დღეს უამრავ რამეს გვაუწყებს მეცნიერების საშუალებით“.

გამეორება ცოდნის დედაა!

რავა ყველაფერი გვიკვირს, ანუ რატომ არ გვიყვარს საქართველო?!

250 ერთკაციან პარტია რომ ჰქვია, გიკვირთ?!

ნაციონალური მოძრაობის რევანში რომ სწყურია და ხელისუფლების სათავეში დაბრუნება სურს, ამიტომაც „გულაობენ“, გიკვირს?!

შალიკოს, ბაქრაძეს, ბოკერიას, ვაშაძეს, მელიას, საბეიშვილს, ხოშტარიას, დეკანოიძეს, კუბურაშვილს, სააკაშვილს, მერაბიშვილს და სხვებსაც პრეზიდენტობა სერიოზულად რომ უნდათ, გიკვირთ?!

საქართველოს ოპოზიციის უმრავლესობას „შინ ევროპაში“ რომ სურს დაბრუნება, გიკვირთ?!

გამაგიჟებინეთ, გეოგრაფიულად სად მდებარეობს საქართველო. წინა აზიაში, კავკასიაში თუ ევროპაში?!

ძვეყანა გაივსო ნარკოტიკებით და მისი მომხმარებლებით, მერედა, რას ფიქრობთ, ვის უტოვებთ სამშობლოს, ნარკოტიკებით გაბრუებული და გონდაკარგული ადამიანები შეძლებენ ქვეყნის ღირსეულად მართვას, ეს მაინც მითხარით?!

საქართველოში ყველაფერ „ევროპულის“ პროპაგანდას რომ რუსეთის გრუ „ჩალიჩობს“, გიკვირთ?!

ბარში წასვლა და სამშობლოს დაცვა ახალგაზრდების უმრავლესობას რომ არ სურს, ვისი ბრალია?

ბორჯომში რომ 50-მდე სამოქალაქო მღვდელი-მამაო გვყავს, გიკვირთ!

ნატოს „ღია“ კარში რომ ვერ შევდივართ, ესეც გიკვირთ?!

ძველ, ვინც საკუთარი მიწა-წყლიდან გამოიქცა და საქართველოს შეაფარა თავი და ახლა ჩვენი მიწა-წყალი თავისად რომ მიაჩნიათ, ესეც გიკვირთ?!

ჩვენი შვილები რომ თორმეტი წელი სკოლაში დადიან და თითქმის ყველა რეპეტიტორთან ემზადება, წერა-კითხვა კი მაინც უჭირთ, გიკვირთ?!

ღმერთის და ეკლესიის მაგინებლებს ქრისტიანებს რომ

გვეძახიან, ესეც გიკვირთ?!

ყველაფრისგან გაკვირვებულებს, ძალლადაც რომ არავინ გვაგდებს შინ, თუ გარეთ, ესეც გიკვირთ?“.

30 წელიწადია, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა ვაღიარეთ და აქციების მეტი არაფერი „შეგვიმატებია“ ქვეყნისთვის. პრეზიდენტებს, თუ პარლამენტარებს 80-96 პროცენტით ვირჩევთ, ნდობას ვუცხადებთ და მერე თოფ-ზარბაზნებით გვსურს მათი ჩამოგდება, ესეც გიკვირთ?!

ბედკრულ ქვეყანაში ობიექტურად არჩევანს თავიც რომ არ გვაქვს, ხომ კარგად ვხედავთ?

არცერთი ხელისუფლება რომ არ მოგწონს, ესეც გიკვირთ?!

ჩვენს პოლიტიკოსებს სამშობლოს სიყვარულს, სკამის საყვარელი რომ ურჩევნია, არც ეს დაგავიწყდეთ?

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველობას შურ, მტრობა, ღვარძლი, სხვა ათასი ანომალიები რომ ახასიათებს და ვერაფრით ალმოვფხვარით, გიკვირთ?!

ვაფა-ფშაველამ კი მოგვწოდა „ღმერთო, ქართველს ქართველი შეაყვარე და ორივეს ერთად საქართველოო, მაგრამ ვცდილობთ კი ამ ბრძნული შეგონების შესრულებას?!

კიდევ ბევრი უბედურება გვჭირს და ამიტომაცაა, რომ ჩვენზე ჩამორჩენილ ქვეყნებს ეპატიჟებიან ევროკავშირში და ჩვენ კარები ჯერჯერობით მოხურულია, მერედა, ქუდიც გიკვირთ?!

ევროპოლიგმა მოგვიწოდეს დეპოლარიზაციისკენ, მაგრამ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ სულისშემძვრელი, უგვანო დაპირისპირების აღმოსაფხვრელად?!

რადიკალური ოპოზიცია თავისთვის ზრუნავს იმ თორმეტპუნქტიანი დავალების შესრულებისათვის, ხელისუფლება – ცალკე?!

დღესაც ძალაშია ტრადიციული „უჩემოდ ვით იმღერია“. ხომ არ დაგავიწყდათ ამ გამოთქმამ რამდენჯერ დააზარალა საქართველო?!

ჩვენს ეროვნულ გერბს გარკვევით აწერია მეტად შთამბეჭდავი სიტყვები „ძალა ერთობაშია“, მინდა, ვკითხო რადიკალური ოპოზიციის და პოზიციის წევრებს, რაში გამოიხატება ამ ფრთიანი დევიზის მნიშვნელობა, თუ ამ გადამწყვეტ ეტაპზე მაინც, როცა წყდება ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხი, ყველაზე განათლებულ, სამშობლოზე მოფიქრალ პოლიტიკურ ელიტას, რატომ უჭირთ უკიდურესად დამძიმებულ სიტუაციაში ყბადაღებული პოლარიზაციის დათმობა და ერთ მაგიდასთან თორმეტპუნქტიანი მოთხოვნისათვის საფუძვლიანი პასუხების გაცემა, ეს ჩვენი ბედკრული სამშობლოსათვის ყველაზე მოგებიანი ნაბიჯი იქნება გადადგმული ევროპული ოჯახის წევრად გახდომისთვის.

და ბოლოს, შეგახსენებთ სულმნათი ამირეჯიბის შეგონებას: „ჭკუით ქართველებო! ჩვენ ობოლი ერი ვართ“ ამ ჩვენ ბრძენკაცს მაინც დაუჯერეთ!

XXX

ღმერთი ხომ ხედავს, რომ სწორედ ახლა გვჭირდება ერთსულოვნება, ერთად დგომა და მოქმედება. ჩვენ კი მდინარის საწინააღმდეგოდ ვმოძრაობთ.

XXX

ამას წინათ თბილისში გულანთებული საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრებმა აქცია დააანონსეს, ინიციატორებმა ამ თავყრილობას მეტად ორიგინალური სახელი – „მოვდივართ“ დაარქვეს. ეს აქცია სამართლიანობით, ობიექტურობით გამორჩეული შეკრება იყო, ეროვნული ინტერ-

ესებით, ქართული იდეალებით გამსჭვალული. ამ აქციას ბევრმა ადამიანმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლებს მაინც არ მოეწონათ გულანთებულ ქართველთა შეკრებაზე სიტყვებში გამომსვლელთა ნააზრევი.

რომან გოცირიძე ოპოზიციონერთა შორის, რატომღაც ჭკვიან პიროვნებად მიაჩნიათ. სწორედ მან წარმოსთქვა „ბრძნული“ აზრი, ამ აქციას „მოვდივარ“ კი არ უნდა ერქვას, არამედ – „მივდივართ-ო“, – რადგან დღეს ჩვენ ვიხილეთ

დიდი სანანგვე“. ასეთი დაუვარცხნელი აზრები „გამოცდილ პოლიტიკოს“ ნამდვილად არ ეკადრება.

XXX

საცოდავია ადამიანი, თუ შრომა ეზარება. ცნობილი მეცნიერი ფროიდი წერდა, – „ბედნიერი რომ იყო, ორი რამაა აუცილებელი, – იცოდე სიყვარულის ფასი და გიყვარდეს შრომა“.

XXX

გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ამბობდა – „მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ,

არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახანი და მონები ვართ“.

XXX

ახლა ქართველი ხალხი დიდი იმედით ელოდება ევროკავშირში გაწევრიანებას, კარგად ვხედავთ, როგორ „აქტიურად მოქმედებს“ რადიკალური ოპოზიცია 12 პუნქტიანი კითხვარის პრაქტიკული რეალიზაციისათვის. მათ საქმიანობას ქვეყნის წინაშე ჩადენილი „ღალატის სუნი“ ასდის. საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ასეთი დაძაბული ურთიერთობა ნაცებსა და ქოცებს შორის.

შემეცნებითი ცენტრი „მანტია“
ვიწყებთ პროექტის განხორციელებას

შემეცნებითი ცენტრი იფუნქციონირებს ბორჯომში, გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციასთან ერთად თანამშრომლობითა და თანამეგობრობით დაინტერესებული საზოგადოებისათვის და სკოლის მოსწავლეებისათვის.

ჩვენთან, შემეცნებით ცენტრში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ დაუვიწყარი და კოგნიტური აქტივობებით დატვირთული დრო გაატარონ, დროის ლიმიტი მათ სურვილსა და აქტივობების არჩევანზე იქნება დამოკიდებული. ამ დროს მშობლები კი მოუთმენლად დაელოდებიან შვილებთან შეხვედრას და აქვე შესაძლებლობა ექნებათ ლიტერატურულ შეხვედრებსა და სხვადასხვა დაგეგმილ ღონისძიებებშიც აქტიურად ჩაერთონ ბორჯომის საზოგადოებასთან ერთად, მოუსმინონ მოწვეულ სტუმრებს მათ შვილებთან ერთად.

ასაკის მიხედვით სპეციალურად დაიგეგმება მრავალფეროვანი კოგნიტური აქტივობები, იქნება მხატვრული კითხვის დრო, „მანტია“-ს თავისუფალი დრო, (სადაც გამოყენებული იქნება დროის სწორი მართვის მენეჯმენტი) ხატვის საათი, შემოქმედებითი მიმართულება (ხელნაკეთი ნივთების დამზადება მეორადი მასალებისაგან). მოსწავლეებისთვის კრიტიკული აზროვნების განვითარება - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური. სურვილის შემთხვევაში აქტივობებში უფროსკლასელებიც ჩაერთვებიან. მათ შესაძლებლობა ექნებათ უმცროსკლასელებს სკაფოლდინგის მეთოდით დამხმარის ფუნქცია ჰქონდეთ და მათ განუვითარდეთ მასწავლებლის პროფესიის უნარ-ჩვევები, ამით მოხდება ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია. არაფორმალური განათლება და მისი ხელშეწყობა დღეს მოსწავლის, საზოგადოების წევრების, სოციუმში განათლებასთან ერთად წარმატებით დამკვიდრების საწინდარია. „მანტია“-ს გუნდის წევრები არიან სტიპენდიანტები და უკვე განათლების მაგისტრანტები.

ორიგინალური ხელნაკეთი ნივთების დიზაინერი კი მუშაობისას იყენებს მეორად მასალებს. ნატო მელიქიძე გპირდებათ, რომ მანტიელები საკუთარი იდეებით და წარმოდგენილი ხელსაქმით არა ერთ ოჯახის წევრებს გაგახარებთ. მისი ნამუშევრები იხილეთ ფეისბუქ გვერდზე: NATALI ART.

მანტიელები დროის გარკვეულ ნაწილს გაატარებენ სუფთა ჰაერზეც, გვექნება გასვლითი ღონისძიებები ჩვენი ბორჯომის ახლადრეაბილიტირებულ ულამაზეს სკვერებში, აქვე (ვერანდაზე) მათთვის უსაფრთხო ადგილზე, სადაც გაზეთი „ბორჯომი“-ს რედაქცია წლებია ფუნქციონირებს, მშვენიერ გარემოში, ხეივნის ქვეშ დაიგეგმოს განსხვავებული, მნიშვნელოვანი და ბევრის მთქმელი აქტივობები, როგორც უმცროსკლასელთათვის, ასევე მოზარდებისათვის და უფროსებისთვის.

ცენტრი იფუნქციონირებს ყოველ დღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. მოსწავლეების მიღება შესაძლებელი იქნება 5 წლის ასაკიდან. შედგება ჯგუფები და სწავლებისას გამოყენებული იქნება ინდივიდუალური მიდგომები. სიმბოლურად მოხდება თანხის გადახდა უმცროსკლასელი მოსწავლეებისთვის დაგეგმილი აქტივობებისა და დროის მიხედვით. ჩვენთან შემეცნებით ცენტრში საზოგადოებისათვის ვგეგმავთ სპეციალურ შეთავაზებებს. პროექტი არაკომერციულია და მასში შემოსული ყველა რესურსი სრულად ორიენტირებული იქნება და მოხმარდება მოსწავლეებსა და ცენტრის გაძლიერებას.

შემეცნებითი ცენტრი „მანტიას“ გახსნა დაგეგმილია 1 ივნისს, 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება მობრძანდეს და ადგილზე გაეცნოს დამატებით ინფორმაციას, შემდეგ მისამართზე: ფალიაშვილის ქ. №2, გაზეთი „ბორჯომი-ს“ რედაქცია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქალბატონი დოდო შაყულაშვილის უდიდესი მხარდაჭერა და ჩვენი „მანტია-სთვის ინვენტარის სრულიად უსასყიდლოდ გადმოცემის ფაქტი.

- ახალგაზრდებს ხელშეწყობა გჭირდებათ. არაფორმალური განათლება კი მეტად საჭირო საქმეა ჩვენი რაიონის მოსწავლეებისთვის, - გვითხრა ღიმილით, ჩვეული სითბითი და ოთახების კარი გაგვიღო. წაიღეთ და წარმატებებს გისურვებთო.

გიზიარებთ, ჩვენი გუნდის (ნათია გვარამაძე, ხატია გვარამაძე) გუნდური მუშაობის პრინციპით განხორციელებულ აქტივობებს, რომლებსაც ქართულ-ამერიკული მომავლის კლუბი „მანტია-ს სახელით ვგეგმავდით და ვახორციელებდით მთელი წლის განმავლობაში USAID-**ის პროექტის ფარგლებში ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში და რომელზეც არა ერთი სტატია დაიბეჭდა გაზეთი „ბორჯომი-ს ფურცლებსა და სხვადასხვა მედია გამოცემაში.**

შეხვედრამდე, „მანტია“-ს შესახებ ინფორმაციას შესაძლებელია გაეცნოთ ოფიციალურ facebook **გვერდზე: შემეცნებითი ცენტრი მანტია.**

ან დაგვიკავშირდეთ ნომრებზე და მოგვწეროთ: 577605984, 579117065

iza ianvarashvili@gmail.com

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

ღირსეული ბორჯომელი
ლვანლმოსილი და ულაზღვევანი ქალი

ჯამბულ იაკობის ძე ლონღაძეს პირადად მე, ბავშვობიდან ვიცნობ, მეზობელ სოფლებში კორტანეთსა და ახალდაბაში ვცხოვრობთ. მიუხედავად ამისა ფეხბურთს ხშირად ვთამაშობდით ბავშვობაში. მე უფრო თადარგში ვიყავი და ვინმე თუ დაიმტვრეოდა ან დაიღლებოდა, შემდეგ ცოტა ხანს მათამაშებდნენ.

კორტანეთელთა შორის დამამახსოვრდა ახოვანი, ტანსრული და დაკუნთული ბიჭი, რომელსაც ყველა ჯამბულ, ჯამბულს ეძახდა. მთავარი კი ეს არ იყო. ეს ტანსრული ბიჭი თურმე ასაკით ჩვენზე პატარა იყო, მაგრამ სისხლს გვიშრობდა, ბურთს რომ ჩაიგდებდა, არავინ იყო მისი წამრთმევი, გოლი გოლზე გაჰქონდა მოწინააღმდეგის კარში.

მას შემდეგ სკოლა დავამთავრეთ, წავედით ჯარში, შემდეგ უმაღლესში, ცოტა ხანს კიდევ ვიმუშავე და მამა რომ გარდაიცვალა, ისევ დავბრუნდი მშობლიურ ახალდაბაში. მიუხედავად იმისა, რომ არც თუ მცირე გამოცდილება დავაგროვე, სამსახურის შოვნა გამიჭირდა. შემდეგ წაღვერის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. ერთი წლის შემდეგ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში, აი, სწორედ აქ გავიცანი ძველი ნაცნობი, მაგრამ მაინც „უცნობი“ ჯამბული, რომელსაც უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სწრაფად უცვლია გზა, ჯერ კომკავშირის რაიკომში, უშიშროების რაიონულ სამსახურში, რამდენიმე წლის შემდეგ აღნიშნული სამსახურის უფროსი გახდა, კეთილსინდისიერი მუშაობისათვის არაერთხელ დააჯილდოვეს და მოკლე ხანში ჩამოყალიბდა უმაღლესი კლასის პროფესიონალად, რომელმაც თავისი მრავალი კეთილშობილური ღირსებებით და ოპერატიული მუშაობით მალე მოიპოვა ხელმძღვანელობის ყურადღება და პატივისცემა. რამდენიმე წელში, ჩვენი ჯამბული უშიშროების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის მხარეში გაამწესეს სამმართველოს უფროსად: ჩინეკ მოუმატეს, პოლკოვნიკი გახდა, იქაც თავი გამოიჩინა ორგანიზატორული და პროფესიული უნარებით და მხარეში შემავალ რაიონებში დიდად საპატივცემულო პიროვნება გახდა. ჯამბული იშვიათად ჩამოდიოდა ბორჯომში, მაგრამ ძველ ნაცნობებს არ ივიწყებდა, თუ ვინმეს უჭირდა, რაც შეეძლო ეხმარებოდა.

ასაკის მიუხედავად კარგა ხანს იმუშავა უშიშროების ორგანოებში, შემდეგ რამდენიმე წელი ვალეს საბაჟოს ხელმძღვანელობდა. მამა რომ გარდაეცვალა, მოხუცებულ დედას მარტო ხომ არ დატოვებდა, მზრუნველი შვილი და მშობლიურ რაიონში დაბრუნდა, სადაც უმალ გამოუნახეს სამსახური. რაიონის გამგებლის მოადგილედ დააწინაურეს, სადაც ასევე ღირსეულად იმუშავა. ცოტა ხანში მეგობრებმა, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ჯამბული საპასუხისმგებლო სამსახურში მიეღოთ, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა. ქარხნების მესაკუთრეები შეიცვალნენ თუ არა, ჩვენმა ჯამბულიმაც დაანება თავი მუშაობას და კორტანეთში მშობლიურ სოფელში მამაპაპურ სახლში გააგრძელა ცხოვრება.

სამწუხაროდ, ცოტა ხანში დედა გარდაეცვალა. ჯერ ინვალიდი შვილი, ორი წელია მეუღლეც გარდაეცვალა, შარშან კი სიძეც დაკარგა. მაგრამ მიუხედავად დიდი ტკივილისა და განცდებისა, ფიზიკურად და სულიერად მტკიცე ნებისყოფის ჯამბულმა ცხოვრებაზე ხელი არ ჩაიქნია. შვილებს და შვილიშვილებს კვლავ განათლებული, კულტურული, მებრძოლი სულის მატარებელი კაცის მაგალითებს უჩვენებს და ცდილობს შვილებს საქმე შეუმსუბუქოს, იმედი ჩაუსახოს, ცხოვრების სწორი გზა უჩვენოს. ჩვენი ძვირფასი მეგობარი ჯამბული კვლავაც მტკიცედ დგას ოჯახის სადარაჯოზე, არ ივიწყებს მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს, თავის სოფელს და თანასოფლელებს არაერთი მნიშვნელობანი პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში მხარში უდგას.

დღეს ამაგდარი, მტკიცე და ჯანმაგარი ჩვენი მეგობარი, რომლის დანახვა ყველას უხარია და ეფერებიან, მარტოობას არ გრძნობს. თუ ვინმეს საიუბილეო სუფრის გაშლა უნდა, დასაპატიჟებელთა შორის ყოველთვისაა დიდი წარსულის მქონე და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება.

მან უკვე 75 წელიც გადალახა, მაგრამ კვლავაც ენერგიული, მტკიცე ხასიათის და დიდი გამოცდილების ვეტერანი კვლავაც ცხოვრების ფერხულშია, არ ეპუება ცხოვრებისეულ სირთულეებს. მართალი კაცია და ამიტომაცაა, რომ დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს რაიონში. იმედია, კვლავაც არ შეუშინდება ხანდაზმული კაცის წლებს და სიყვარულს და პატივისცემას სიყვარულით და პატივისცემით უპასუხებს.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

სილამაზის საღამოზე

XXI საუკუნე დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს თანამედროვე ქალბატონებს, ვისაც სურთ, რომ ლამაზად გამოიყურებოდნენ. თუმცა, როდესაც საქმე პატარა რაიონებს ეხება, იქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა. შეიძლება სურვილი გქონდეს და გარკვეული სახის ფინანსებიც გიწყობდეს რაღაც მოვლენაში ხელს, თუმცა შესაძლებლობაა იმისა, რომ ლამაზი და შენთვის სასურველი სამოსი შეიძინო ისეთ მნიშვნელოვან დღეს, როგორიც სკოლის ბანაკები, ქორწილი ან თუნდაც უბრალოდ მნიშვნელოვანი საღამოა, ასეთი სივრცე შაქტიურად არ არსებობს. თუნდაც ბორჯომის მაგალითს თუ აკვირდებთ, დავინახავთ, რომ რამდენიმე სამოსის მაღაზია კი არის, თუმცა ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი იქ თქვენ გემოვნებაზე მორგებული სამოსი შეიძინოთ და მითუმეტეს საღამოსასწაულო სამოსი, ასეთი მაღაზია ნამდვილად არ არსებობდა. ამიტომაც, ქალბატონებს მათთვის სასურველი საღამოსასწაულო სამოსის შესაძენად ახლომდებარე რაიონებში უნევდათ წასვლა, რაც დროისა და ფინანსების მეტ სარჯვასთან იყო დაკავშირებული. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბორჯომში საკმაოდ გემოვნებიანი ქალბატონები ცხოვრობენ და მათთვის ზემოთ აღნიშნული სასურველი და საოცნებო სივრცის გახსნა ნამდვილად სასიხარულო აღმოჩნდა. სულ რამდენიმე თვეა, რაც ბორჯომში საკაძის ქ. №2-ში ახალი შოუ რუმი ,,Tam Dress Borjomi“ გაიხსნა,. რომლის გახსნის ინიციატორი, სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელიც ახალგაზრდა უმშვენიერესი თამო გორეზიანი გახლავთ.

თამომ ბორჯომელი ქალბატონების სილამაზეზე ზრუნვა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც თავის კოლეგასთან ერთად სილამაზის სახლი „ბრილითი“ გახსნა. სახლი ესთეტიკის ცენტრი გახლავთ, სადაც ძირითადად ქალბატონებს ემსახურებიან. აქ მათ შეუძლიათ დიოდური ლაზერული ეპილაციის, მაკიაჟის გაკეთება ასევე წარბების კორექცია და წამწამების ღეროვანი დაგრძელება. აღსანიშნავია, რომ სილამაზის სახლი გახლავთ შვილობილი კომპანია ქართული ბრენდი „პიელ-ნატურალსის“, საიდანაც ჩამოაქვთ თავის მოვლის საშუალებები ქალბატონებისათვის. სწორედ აღნიშნული საქმიანობა აღმოჩნდა თამოსთვის საწინდარი იმისა, რომ მას კიდევ მეტად ეზრუნა ბორჯომელი ქალბატონების არა მარტო უფროსი არამედ, პატარა ქალბატონების „ფუფუნებაზე“ და საჭირო დროს, მათთვის ხელსაყრელ ადგილას, მათსავე ქალაქში ჰქონოდათ შოუ რუმი, სადაც დიდი არჩევანი, ხელსაყრელი პირობები და მისაღები ფასები იქნებოდა. სწორედ ამიტომ, რამდენიმე თვის წინ დააარსა ,,Tam Dress Borjomi". თამო ამბობს, რომ ის, რაც დიზაინს, გემოვნებიანად და ლამაზად ჩაცმას უკავშირდებოდა, სწორედაც რომ მისი სფერო იყო და ამიტომაც შესთავაზა აღნიშნული სივრცე ბორჯომელ ქალბატონებს. სიახლე ბორჯომელმა ქალბატონებმა მალევე მიიღეს. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ თავი კომფორტულად იგრძნონ მომხმარებლებმა. თამომ მომხმარებელთა სურვილებიც გაითვალისწინა და თანამედროვე სადღესასწაულო სამოსის გარდა, რომელიც საქართველოში მოღვაწე ქართველი დიზაინერების შექმნილ სამოსს აერთიანებს, ქართული ტრადიციული, ნაციონალური სამოსიც შესთავაზა. აქ ერთი წლის ასაკიდან არის შესაძლებელი ტრადიციული ჩოხის ქირაობა. თამო ამბობს, რომ თანამედროვე სამოსი, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა ქართული ტრადიციული სამოსის ხაზი და მიმართულება არის ის, რასაც უნდა ჩავეჭიდოთ, რადგანაც უამრავი მოზარდი ცხოვრობს ჩვენს რაიონში, რომლებიც სწორედ ქართულ ტრადიციულ კულტურას უდიდეს პატივს სცემს, ქართულ ტრადიციულ ცეკვას ცეკვავენ. 26 მაისს კი დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ტრადიციულ სამოსზე მიიღეს უამრავი ჯავშანი. თამო საოცარი გამოწვევის მონაწილე გახდა, როდესაც მას ერთ-ერთმა პედაგოგმა მიწერა, რომ მის XII კლასელი მოსწავლისათვის თუ იქნებოდა შესაძლებელი კაბის შერჩევა. თამო, რა თქმა უნდა, დათანხმდა, გოგონას კაბა შეურჩიეს და მისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე, ნამდვილად დაუვიწყარ დღესაწაულად აქციეს. მნიშვნელოვანია, რომ გარდა სამოსისა, აქ შეუძლიათ ქალბატონებმა ისარგებლონ არაჩვეულებრივი ფრჩხილის სპეციალისტის **ნონა ინასარიძის** მომსახურებით.

შოუ რუმის დამაარსებელი ამბობს, რომ საკუთარი ენერგია სურს თავის პატარა ქალაქს მოხმარდეს. სურვილი აქვს, რომ სულ რაღაც ახალი მიაწოდოს საყვარელ მომხმარებლებს და არა მარტო მათ, ყველას, ვინც ჯერ არ იცის, რომ არსებობენ და ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობენ. მისი საქმე მთლიანად საქართველოს მასშტაბს მოიცავს. მის საოცრად ლამაზ წამოწყებაში კი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პატარა მომხმარებლებსაც, რომლებსაც ულამაზეს პრინცესულ კაბებს სთავაზობს ზეიმებისთვის, დაბადების დღეებისათვის, ფოტოსესიებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის.

წინ დიდი მიზნები და გეგმები აქვს, რომელიც ისეც ბორჯომელი ქალბატონების სილამაზეზე ზრუნვას გულისხმობს. ჯერა, ყველაფერი გამოვა.

თამოს ულამაზესი კაბების ხილვა შეგიძლიათ სოციალურ ქსელში ფეისბუქ გვერდზე **„Tam Dreees Borjomi-.** ან შეგიძლიათ პირადად ეწვიოთ საკაძის №2-ს.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

ვულოცავთ!

ჩემს უფროს, ღირსეულ და საამაყო შვილიშვილს საღრმე ლომსაძეს ვულოცავ დაბადების დღეს 23 მაისს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებას, მიზნების და სურვილების შესრულებას, ბედნიერ მომავალს.

მისდამი დიდ სიყვარულს გამოვხატავ ლექსით, რომელიც მის იუბილეს მივუძღვენი.

მიღწევით გაგვახარე
ოჯახში ურთიერთ თანხმობით
ორმხრივ აზრი შევაჯერეთ,
სამედიცინოზე ჩაირიცხე,
მშობელ მამას დაუჯერე.
სიხარული ვერ დავმალეთ,
მიღწევით რომ გაგვახარე,
ინსტიტუტი დააძთავრე,
მაინც სწავლა არ იკმარე.
სამწლიანი რეზიდენტურა
წარჩინებით გაიარე,
თეორია პრაქტიკას შეუთავსე,
თავი ყველას შეგვაყვარე.
მკურნალ ექიმის პროფესიით
მშობლიურ ბორჯომს ესტუმრე,
„ჰოსპიტალსში“ მუშაობით
წარმატება დაიმკვიდრე.
პაციენტის განკურნებით
მადლობა დაიმსახურე,
არ ჩამორჩე ცხოვრების ფერხულს
წარჩინებით წინ იარე.

სერგო მელიქიძე,
წარჩინებული ვეტერანი ექიმი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულის პრემიის ლაურეატს შშანგი ჯანგირაშვილს ვულოცავთ დაბადების 73 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის სასიკეთო მოღვაწეობისათვის.

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა

ღირსეულ პიროვნებას, სახელოვან ჟურნალისტს, გასაოცარი სიკეთით, თავმდაბლობითა და ადამიანური თვისებებით შემკულ ბატონ შშანგი ჯანგირაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, სიყვარულს და დიდხანს სიცოცხლეს თავის მონაგართან ერთად.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები

ვაჟას მხატვრულ სამყაროში - წიგნი მკითხველთათვის

ახალი წიგნი ახალი ცოდნაა. ბატონ **უშანგი ჯანგირაშვილს** გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში შევხვდი. მჩუქნის თავის ახალ წიგნს, რომელსაც წარწერა ტრადიციულად დასამხსოვრებელი აქვს: **„ჩემ კოლეგასა და „მებრძოლ მეგობარს“ ვაჟა-ფშაველას სიყვარულისთვის“**. როგორ შეიძლება ვაჟას სამყაროში ფეხი თუ შეგიდგამს და არ გიყვარდეს. წიგნის თანაავტორი ბატონ უშანგისთან ერთად მისი ძმა **იოსებ ჯანგირაშვილია.** ადრეც გავცნობივარ მის წერილებს ვაჟას მარადიულ გმირებზე და მოსწავლეებთან არაერთხელ მომიხმია მისი წიგნიდან ესა თუ ის ამონარიდი. კარგ ყმად ვინ უნდა ჩავთვალოთ, ან ჯოყოლას მხატვრულ სახეზე ვინ უნდა დაგვაფიქროს, თემის ადათ-წესები დოგმებად უნდა მივიღოთ თუ იმ დროინდელ რეალობის შესაბამისად - ამ ყველაფერზე ავტორი გვიყვება დეტალურად, თანმიმდევრულად ისე, რომ ნებისმიერ ფილოლოგს, მასწავლებელს ეამებოდა ამ წიგნში ჩახედვა. ჩემთვის, როგორც ქალისთვის ალბათ მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ ვაჟას პოემის უმთავრესად მნიშვნელოვან პერსონაჟს - აღაზას და ამიტომ წიგნიდან ეს თავი უფრო გამძაფრებული ინტერესით ჩავიკითხე. აღაზა ბევრი რამის მაგალითია, ლოგიკურად აგრძელებს მეუღლის აზროვნების გზას და ამაში ავტორის აზრიც ემთხვევა ჩემსას: ჯოყოლა და აღაზა ერთი მთლიანი გახლეჩილი ორი შტოაო - ამბობს. ბატონი უშანგი ვაჟას პოემებში დიალოგის მნიშვნელობაზეც საუბრობს. ჩემთვის ყველაზე დაუვიწყარი დიალოგია ცოლ-ქმარს შორის ის ადგილი, როცა ჯოყოლა პასუხობს: „იტირე? მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?“ ყველაზე „თანამდროვე თანამეცხედრეა აქ ქმარი, რადგან რისი გაგებაც ძნელია, წარმოუდგენელია, სწორედ ამაში უმართლებს აღაზას. ეს იდეათა თანხვედრა და თანამოაზრეობა მაშინ ხდება, როცა ერთიც და მეორეც ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი - მაღალი ზნეობრივი მაგალითები! წიგნის ავტორი ეხება ასევე ცნობილ პოლემიკას: ერთის მხრივ, აკაკი წერეთელი, რომელსაც ადარდებდა ქართული სალიტერატურო ენის გადარჩენა და მეორეს მხრივ, მთის არწივი - თავისი ენით მობუბუნე კაცი, რომლის სულშიც ქართული ენის გენეზისი ღრმადაა აღბეჭდილი. სათქმელი მკაფიოა: დღემდე შეუსწავლელია დიდი პოეტის სამწერლობო ენა! აგრეთვე ვიზიარებ პოემა „გველისმჭამელიდან“ მინდიას მხატვრულ გააზრებას: ვაჟამ კაცობრიობის ბედი ჩადო მინდიაშიო, ბრძანებს წიგნის ავტორი და იქვე ხსნის, რომ დიახაც, ადამიანმა ადამიანური ცხოვრებით უნდა იცხოვროს, ცოდვები ჩაიდინოს, იღვაწოს, იბრძოლოს, იტანჯოს - პოეტმა გადაწყვიტა, რომ კაციც და კაცობრიობაც ღვთისგან მიტოვებულია. აი, ვაჟას ჰოროსკოპზე კი არასდროს დავფიქრებულვარ: ისიც კირჩხიბი, სტიქია წყალი, პლანეტა - მთვარე, ფერი - მწვანე. ხომ არის ამაშიც ლოგიკა? ყველაზე ძვირფასი ნაწილი, უფრო სწორად ჩემთვის ახალი წიგნში არის მოგონებების თავი. იმდენი ახალი დეტალი, ამბავი გავიგე, რომ მადლობა ამისთვის ბატონ იოსებ ჯანგირაშვილს. თითქოს ასე უფრო ნათელია, თვალწინაა დიდი პოეტის პორტრეტი. ასეთ გზადაგზა ჩაწერილ ამბებში და ისტორიებში ჩანს ყველაზე მეტად ვინ და რა ხასიათისაა ვაჟა. სკოლის აშენებას სთხოვენ - ის სოფლისთვის კაცთსაკითხი ადამიანი იყო, მისი იმედი ჰქონდათ. მის გარეგნობას ეძღვნება რამდენიმე წყარო: ლამაზი კაცი იყო, თვალი ჰქონდა ჩამოწეული ცოტა, შავი ჩოხა ეცვა. ერბოკვერცხს ხშირად უწვავდაო ქალიშვილი. თამარს - ვაჟას გოგოს თუში ჰყვარებია ვინმე და არ გააყოლა მამამ... გუთანს გააჩერებდა უცაბედად და იწყებდა წერასაო... მოუკლესო შვილი - კაი ბიჭი იყოო, მგონი გასაბჭოების დროსა. ჯეილ კაცი ყოფილა ვაჟა-ფშაველაი, ის განა სიბერით მოკვდა“ - ამ ბოლო წინადადებამ კი ბევრი ფიქრის უფლება მომცა მე, როგორც ერთ მკითხველს... ვინ იცის, შვილის დარდით, ან იქნებ ქვეყნის დარდით, ან კიდევ იებისა და ბალახის დარდით დაგვტოვა... ყველაფერს ცხადია, ვერ მოგიყვებით. უკეთესია წაიკითხოთ! წიგნის ავტორებს გაწეული შრომისთვის, მასალების შეგროვებისთვის უღრმესი მადლობა ერთი რიგითი მასწავლებლისგან.

მონიკა ჟანტურია.

წერილი რედაქციას

როგორ არ გამოვხატო მადლიერება!

ორი თვის წინ ბორჯომის „„ჯეოჰოსპიტალში“ ვიწექი ბრონქების ანთების დიაგნოზით. სახლში გამოწერის შემდეგ მქონდა დაბალი წნევა - 80/42 ან 90/55. ძალიან ცუდად ვიყავი. წავედი შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ „ბაკურიანში“, სადაც დამხვდა ექიმი რეანიმატოლოგი **ბესარიონ ცანავა.** მან ორჯერ გადამიღო ფილტვებზე რენტგენი და ორჯერაც კარდიოგრამა, რის შემდეგაც მითხრა, რომ სასწრაფოდ გავმგზავრებულიყავი თბილისში კარდიოლოგთან. მისი წყალობით კარგ კარდიოლოგთან, **ხათუნა ქვილარიასთან** მოვხვდი, მისი წყალობით კი შესანიშნავ სპეციალისტ **ზაზა კაციტაძესთან.** გამიკეთეს გულის ოპერაცია ნოდარ ბოხუას სახელობის კარდიო ვასკულარულ ცენტრში ამა წლის 24 აპრილს და სახლში 5 მაისს გამომიშვეს. გაზეთ „ბორჯომის“ საშუალებით მინდა მადლიერება გამოვხატო პირველ რიგში **ბესარიონ ცანავას** მიმართ, რომლის წყალობითაც მე ცოცხალი გადავრჩი, ასევე მადლობა ზემოთ ხსენებულ კარდიო ვასკულარულ ცენტრის მედპერსონალს ჩემი პირადი ექიმის **ნინო ლოლაძის** ხელმძღვანელობით კეთილი მომსახურების და სისუფთავისათვის.

ფრიდა ვარდუკაძე,
ბაკურიანი

ანასტასია (ჩიტო) შარაშენიძე-ბოცირიძის განსვენება

წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ამქვეყნიდან ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა სითბოთი და სიყვარულით აღვსავსე ქალბატონმა ანასტასია (ჩიტო) შარაშენიძემ.

ქალბატონი ანასტასია თავდადებით და მაღალი პასუხისმგებლობით 60 წელი ემსახურა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, რითაც დამსახურებულად მოიპოვა ავტორიტეტი, ბორჯომელთა სიყვარული და პატივისცემა. იგი გახლდათ თავისი დიდი ოჯახის სიმტკიცის, ერთგულების, სიყვარულის და კეთილდღეობის გარანტი.

დღეს ქალბატონ ანასტასიას წლისთავთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გულისტკივილით ვიხსენებთ მის შესანიშნავ ადამიანობას, მრავალი თბილი მოგონება გვაკავშირებს ქალბატონთან, როელიც მეგობრების შეხვედრის შესანიშნავი ორგანიზატორი გახლდათ.

მოგონებები გარდასულ დღეთა, მხოლოდ პოეტის ეს სიტყვები მიესადაგება ქალბატონ ანასტასიას გახსენებას. მან შემოქმედებითად განვლო ამქვეყნიური ცხოვრების გზა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სპეტაკი სული, ჩვენ კი მისი მეგობრები ყოველთვის ტკბილად გავისხენებთ. მის შესანიშნავ პიროვნულ თვისებებს.

მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი ბორჯომის მიწა. განისვენოს მშვიდად ძვირფას მეუღლესთან - ლევან გოცირიძესთან ერთად.

უფალს ებარებოდეს.

მეგობრების დათანამშრომლების ჯგუფი.

ვენერა სირბილაძის გამოსათხოვარი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყოფილი განათლების განყოფილების ინსპექტორი ქალბატონი ვენერა სირბილაძე.

ქალბატონი ვენერა 30 წლის მანძილზე უნარიანად, საქმის ცოდნით უძღვებოდა რაიონში არსებულ საბავშვო ბაღების მუშაობას, ამასთან დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა ბორჯომის საზოგადოებაში, განსაკუთრებულ კვალს ტოვებდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

მისი ოჯახი გამორჩეული იყო სტუმარმასპინძლობით. მაგრამ დრომ თავისი მსხვერპლი ხელი დაატყო ქალბატონ ვენერას ყოველდღიურ ცხოვრებას. ჯერ მისი მეუღლე, ბორჯომის საპატიო მოქალაქე ბატონი ჯუმბერ კოჩაძე გარდაიცვალა, ერთი მეორის მიყოლებით მისი შვილები მარინე და გელა კოჩაძეები უდროოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რამაც ქალბატონ ვენერას დიდი ტკივილი და მწუხარება გამოიწვია და დაანჩარა კიდეც მისი გარდაცვალება.

სამწუხაროა, რომ ერთ დროს ბორჯომის საზოგადოებაში გამორჩეული ოჯახის წევრები ყველანი გარდაიცვალნენ. უფალმა ნათელი და სანთელი არ მოაკლოს მათ სახელს და კარგ ადამიანობას.

ბორჯომის ყოფილი განათლების განყოფილების მუშაკები, გარდაცვლილის ნათესავები, მეზობლები და ახლობლები არაერთხელ გაისენებენ კოჩაძეების ოჯახის გარდაცვლილებს. მწუხარებას გამოვთქვამთ ქალბატონ ვენერას გარდაცვალების გამო. ღვთიური მადლი არ მოკლებოდეს მის სამუდამო სამყოფელს. ნათელში ყოფილიყოს მისი კეთილშობილი სული, ამინ!

მეგობრები

გურამიშვილის ქუჩის №2 ბინის მეზობლები თანაგრძნობას უცხადებენ თამარ და თამაზ მეტრეველებს საყვარელი შვილის ნიკას გარდაცვალების გამო.

მერაბ ჯანიაშვილი და ნათელა იჩქიტიძე შეძრწუნებულები სამძიმარს უცხადებენ თამრიკო და თამაზ მეტრეველებს საყვარელი შვილის ნიკას გარდაცვალების გამო.

დავით ალმაშენებლის ქუჩის №35 ბინის მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იზოლდა გოგოლაძე და თანაგრძნობას უცხადებენ შვილს და რძალს გოგიტა და მაკა გოგოლაძეებს დედის გარდაცვალების გამო.

ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ოლგა ოგანეზოვს ბიძის გურამის გარდაცვალების გამო

იყიდება

საბეკონე დიუროკისა და ჰემშირის ჯიშის გოჭები. 8-11 კილოგრამიანი წონის. ფასი 250ლ. მისამართი - სოფელი ზანავი.

საკონტაქტო: 568 679 779 ფრიდონი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №240459
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიმურაზ მეოთხის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

კულტურის ძრონიკა

საზეიმოდ აღინიშნა მუზეუმის დღე

18 მაისს მუზეუმის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული ყველა მუზეუმი მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აღნიშნავს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ამ დღესაც ტრადიციულად საინტერესო ღონისძიებებით შეუერთდა.

2023 წლის 18 მაისის მუზეუმების დღის თემა გახლდათ „სასულიერო ცხოვრება ბორჯომის ხეობაში“. სწორედ შერჩეული თემის ირგვლივ წარმოადგინეს მუზეუმის თანამშრომლებმა მონვეული სტუმრებისთვის საინტერესო პრეზენტაციები. მუზეუმის მმართველმა ქალბატონმა **თინათინ მამასტარაშვილმა** საკმაოდ ვრცელი მოხსენება წარმოადგინა სახელწოდებით: **„სანანწილე ჯვარი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან“, თინიკო ფერაძემ „გრიგოლ სანძთელის პერიოდის ეკლესია-მონასტრები ბორჯომის ხეობაში“** წარმოგვიდგინა, **„სოფელი ყვიბისი და სამნავიანი ბაზილიკები ბორჯომის ხეობაში“** წარმოადგინა **მიხეილ ორჯონიკიძემ, „მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძის“** ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა **აკაკი სარალიძემ, გოგიას და პეტრეს ციხეების შესახებ ისაუბრა“ გიორგი ლაზარაშვილმა,** ხოლო მუზეუმის უხუცესმა თანამშრომელმა ბატონმა **ალგი ლომიძემ** საკუთარ პრეზენტაციაში **„რელიგიის აღორძინების საკითხები ბორჯომის ხეობაში“** ისაუბრა.

ღონისძიების მეორე ნაწილში კი მუზეუმის ფოიე ულამაზეს გამოფენას დაეთმო, სადაც წარმოდგენილი გახლდათ ბორჯომელი, თვითნასწავლი მხატვრის **მაია აბზიანიძის** ნახატები. აღნიშნული გამოფენა მხატვრისთვის პირველი პერსონალური გამოფენა გახლდათ, სადაც მან საკუთარი შემოქმედება ფართო საზოგადოებას გააცნო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სასულიერო პირები და რიგითი დამთვალიერებლები.

18 მაისს მუზეუმმა ვიზიტორებს უფასოდ უმასპინძლა.

მომზადა ნატო მელიქიძემ